2-9038/24
21-06-2024

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის
დასკვნა

„საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონზე საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (N07-1/34; 13.06.2024)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2024 წლის 21 ივნისის კომიტეტის სხდომაზე განიხილა „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2024 წლის 30 მაისის N4238-XIVმს-Xმპ ორგანულ კანონზე საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები (N07-1/34; 13.06.2024).

I. მოტივირებული შენიშვნების ძირითადი არსი

2024 წლის 30 მაისს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შეიტანა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრებისთვის, საოლქო საარჩევნო კომისიის დამხმარე და ტექნიკური პერსონალის წევრებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სოციალური დახმარების, სოციალური და სახელმწიფო გასაცემლებისა და სოციალური შეღავათების მიცემის, აგრეთვე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებში მათი მონაწილეობის საკითხების შემდგომ მოწესრიგებას. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით განისაზღვრება აგრეთვე ე. წ. ანტიჩიხური მექანიზმი იმ შემთხვევის მოსაწესრიგებლად, როდესაც ცესკო ვერ იღებს ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერით მისაღებ გადაწყვეტილებას. ამასთანავე, საკანონმდებლო ცვლილებით უქმდება ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი.

2024 წლის 13 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა საქართველოს პარლამენტს. საქართველოს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ცესკოს მიერ

გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობის საკითხს აწესრიგებს და ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფს ეხება, უცვლელი დარჩეს.

II. კომიტეტის შეფასება

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილების მიზანია საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრებისთვის, საოლქო საარჩევნო კომისიის დამხმარე და ტექნიკური პერსონალის წევრებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სოციალური დახმარების, სოციალური და სახელმწიფო გასაცემლების, სოციალური შეღავათების, აგრეთვე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებში მათი მონაწილეობის შესაძლებლობის შენარჩუნება, რაც ხელს შეუწყობს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში მათ მონაწილეობას.

საკანონმდებლო ცვლილებით განისაზღვრება აგრეთვე ე. წ. ანტიჩიხური მექანიზმი იმ შემთხვევის მოსაწესრიგებლად, როდესაც ცესკო ვერ იღებს ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერით მისაღებ გადაწყვეტილებას. ეს ცვლილება ხელს შეუწყობს ცესკოს ეფექტიან ფუნქციონირებასა და მისი საქმიანობის შეფერხების თავიდან აცილებას.

ამასთანავე, საკანონმდებლო ცვლილებით უქმდება ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შესაძლებელია დროებითი მიზნით შეიქმნას. პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ასეთმა ჯგუფმა რეალურად თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა.

ამრიგად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება საარჩევნო კომისიების საქმიანობის ხელშეწყობასა და ცესკოს საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი „მოტივირებული შენიშვნები“ დაუსაბუთებელია, თუ რატომ ეწინააღმდეგება აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები დემოკრატიის არსს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი უარყოფითად აფასებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ „მოტივირებულ შენიშვნებს“ და მიზანშეწონილად მიიჩნევს კანონის პირვანდელი რედაქციით მიღებას.

III. დასკვნითი ნაწილი

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს 2024 წლის 30 მაისის N4238-XIVმს-Xმპ ორგანულ კანონზე საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებულს შენიშვნებს (N07-1/34; 13.06.2024) და მიზანშეწონილად მიიჩნია კანონის პირვანდელი რედაქციით მიღება.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი